№ 209. სექტემბრის 28, პარასკევი. 1866—1884 სექტემბრის 28, პარასკევი. № 209.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

წლის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. А. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## „დროების“ ფასი ოქტომბრის 1-დამ წლის დამლევამდე 3 მანათი.

### ერთი კვირა უცხოეთში

თბილისი, სექტემბრის 28-ს.

როდესაც ეგვიპტის მმართებლობამ წააქეზეს ინგლისის წარმომადგენლებმა და სახელმწიფო ვალის გადახდა შეაჩერებინეს, ამ თვით-მნებელობამ ერთბაში და ენერგიული პროტესტი გამოიწვია ყველა დიდი სახელმწიფოებისა. ევროპიული გაზეთები მხოლოდ ამაზედ-ღა ლაპარაკობენ, რომ აუცილებლად საჭიროა ინგლისს ამ შემთხვევაში სხვა სახელმწიფოებმა ფეხი უჩვენონ და ეს გემრიელი ლუკმა, რომელსაც ეგვიპტეს ეძახიან და რომლის პოლიტიკური თვით-არსებობის დასასრული მოახლოვებულია, მარტო იმას არ ჩაუგდოს.

შესანიშნავია, რომ კვლავ, როცა რომელიმე სახელმწიფო ხალხთა-შორების ხელ-შეკრულობას არღვევს, მაგალითად, როცა რომელსამე ახლო მდებარე ქვეყანას იერთებს, ან თავის ქვეშევრდომ ხალხს, რომელიც ევროპის მფარველობის ქვეშ არის, ავიწროებს,—მაშინ ევროპის დიპლომატია ძალიან თავს არ იცხელებს ხოლმე და ცხარე პროტესტებს არ უგზავნის თავ-გასულს დიდს სახელმწიფოს. ეხლა სულ სხვაა და ესეთი განსხვავება მოქმედებაში ადვილად აიხსნება, თუ მოვიგონებთ იმ დამოკიდებულებას, რა დამოკიდებულებაც არსებობს ევროპის კაპიტალისტებისა და ეგვიპტის შორის. ეგვიპტე ამ კაპიტალისტების მოვალეა და დიდი მოვალეც,—და რადგან მეცხრამეტე საუკუნეს კაპიტალის საუკუნეს ეძახიან და მასვე ემონება დიპლომატიაც, ამიტომ ამ უკანასკნელმა ასეთი ფეხი გამოიჩინა ინგლისის მოქმედებისადმი პროტესტის გამოცხადების დროს. მართლაც, თუ მხოლოდ ინგლისმა იპარპაშა ეგვიპტეში, შესაძლებელია, რომ სხვა ევროპიელმა კაპიტალისტებმა იმოდენა სარგებელი ველარ მიიღონ, რასაც ეხლა მთელის ევროპის ზედამხედველობის ქვეშ მყოფის ეგვიპტისაგან იღებენ.

ამან მოითხოვა ჟამთა მომდინარეობა: ევროპის სახელმწიფო კაცებს მთელის ხალხის დევნა და ამოწყვეტა იმდენს ცრემლს ვერ მოგვრის თვალზედ, როგორც ოთხ-პროცენტიანი ეგვიპტის ობლიგაციების სამ-პროცენტიანად გადაქცევა...

***

ენერგიულს პროტესტს ყველა სახელმწიფოებისას, ცოტა არ იყოს, შეუფუცხუნებია ინგლისის მთავრობა, ასე რომ ინგლისის სამინისტროს კილოკავად გამოუცხადებია კიდეც, რომ ვალის გადახდის შეჩერება თვით ეგვიპტის მთავრობამ გადასწყვიტა და არა ინგლისმა ჩააგონაო. მაგრამ ამ დროს, როდესაც ინგლისი უკან-უკან იწევდა, მოვიდა ამბავი, რომ გამოჩენილი ინგლისელი მეომარი, პოლკოვნიკი სტიუარტი, რომელიც გორდონს შუა უყოფდა შეჭირვებას, ღალატით მოუკლავთ უდაბნოში. თუ ეს ამბავი მართალი გამოდგა, მაშინ შეიძლება ახად ითქვას, რომ ბრმა შემთხვევა ხელს უწყობს ინგლისელებს, და თუ ტყუილია,—მაშინ, უეჭველია, თვით ინგლისელებისაგან იქნება მოგონილი. მართლაც, ეს შემთხვევა ნებას აძლევს ინგლისს ჯარები კვლავ კიდევ გაჰგზავნოს სუდანში და გზად ეგვიპტეზედ გაატაროს; და მოგეხსენებათ, რომ ამ შემთხვევაში «გზად გატარებას» რა მნიშვნელობა აქვს. ინგლისს შეუძლიან უთხრას სხვა სახელმწიფოებს,—მე ეხლა ეგვიპტის ვალზედ სალაპარაკოდ არა მცალიან, მინდა სუდანელებს პოლკოვნიკი სტიუარტის სისხლი გადავახდევინოვო და თან-და-თან უფრო მოიკიდოს იქ ფეხი, ვიდრე ევროპის სახელმწიფოებს ეგვიპტის ვალიც არ გადაავიწყდებოდეს და პოლკოვნიკი სტიუარტის სიკვდილიც. ამის დამამტკიცებელს საბუთს მკითხველი დღევანდელს ტელეგრამებშივე ამოიკითხავს: ინგლისის წარმომადგენელს ეგვიპტეში, ნორსბრუკს, წინადადება მიუცია, რომ ეგვიპტის ჯარი სრულიად გააუქმონ და მის მაგივრად დააყენონ პოლიციის ყარაული, 9000 კაცისაგან შემდგარი.

***

წარსული კვირის მიმოხილვა სხვაფრივ ვრცელი ვერ იქნება. სექტემბრის 15 შეიყარნენ ვენგრიის პალატები, რომელთ სხდომებსაც, უეჭველია, სამი რამ საგანი აამღელვარებს: ებრაელების საქმე, რადგან ქვემო-პალატაში ჩვიდმეტი იმისთანა ანტისემიტი ჰზის, რომ მზაა ებრაელების ხსენება მთელს ქვეყანაზედ მოსპოს; ზემო (მაგნატების) პალატის გაუქმება და ხორვატელების წინაალმდეგობა. ეს სამი საგანი, ისე არ იქნება, რომ საცილობელ საგნად არ გადაიქცეს ამ პალატებში და ჩვენც ვეცდებით ჩვენს მკითხველებს მოკლედ გადავცეთ ყოველივე შესანიშნავი ამბავი ვენგრიის წარმომადგენელთა პალატისა, რადგან ეს პალატა სწორედ განსაკუთრებულს სახეს წარმოადგენს და მისი ამბავი უყურადღებოდ დასატოვებელი არ არის.

***

ჩინელებმა გაიმარჯვეს მშვიდობიანს მისიონერებზედ, მათი უფროსი მოჰკლეს კიდეც, მაგრამ, სამაგიეროდ, ფრანცუზებმა ჩინელებზედ გაიმარჯვეს, ტონკინიდამ განდევნეს და დაიპყრეს შესანიშნავი ნავთ-სადგურები ფორმოზის კუნძულზედ, რომელიც ჩინეთის გვერდითა მდებარებს. ფრანცუზული გაზეთები ამბობენ, რომ ფრანცუზებს ეს კუნძული ეყოფათ ნადავლად, აქ ფრანცუზის გარნიზონები ჩადგებიან და იმ დრომდე არ გამოვლენ, ვიდრე ჩინეთი ომის ხარჯს (კონტრიბუციას) არ მოგვცემსო. იქნება, ეს განზრახვაც იყოს იმის მიზე-

### «დროების» ფელეტონი, სექტ. 28-ს

## უზრუნველი კიტსი

(ნამდვილი—არც ნამდვილი, ზღაპარი—არც ზღაპარი.)

(დასასრული*)

მეორე დღეს შეიტყვეს, რომ ხემწიფე შერიგებულიყო და გაეცა ბძანება ეხლა ყოველს შეუძლიან თავისუფლად თავ-თავისი საქმე აკეთონო.

— თუ გინდა, ჩემს კოშკში ოთახს მოგცემ და ერთად ვიცხოვროთ, უთხრა რაინდმა.

— ძალიან კარგი, მიუგო კიტსმა: სადაც უნდა ვიცხოვრო, ჩემთვის სულ ერთია. ეს არის ძნელი, რომ ტანისამოსი დამიძველდა.

— ჩემი ტანისამოსი ჩაიცვი, უთხრა რაინდმა.

— ძალიან კარგი იქნება. მართალია, ცოტა დიდი მომივა, მაგრამ რა უშავს, შეიძლება დავაპატარაოთ.

კიტსმა კოშკში დაიწყო ცხოვრება; დადიოდა სანადიროდ, ხან თევზების საჭერად; შველოდა სადილის მომზადებას და ძალიან მადიანადაც შეექცეოდა ხოლმე სადილს.

— ჩემთვის ხომ სულ ერთია რაზედაც უნდა ვინადირო — კურდღელზე, ირემზე, ბატზე თუ გარეულ ქათამზე, ამბობდა თავის-თავად კიტსი, მაგრამ სჯობს კი, ყველა იყვეს და ცოტაო.

ერთხელ რაინდი შეეკითხა: — ცოლს ხომ არ შეირთავო?

— არა, — მიუგო კიტსმა. — მე ისეც ბედნიერი ვარ და სხვა რაღა მინდაო.

— საპატარძლოს კოშკი და ფულები რომ გამოატანონ?

— ჩემთვის სულ ერთია, უცოლო ვიქნები, თუ ცოლიანი, სთქვა კიტსმა, მაგრამ ურიგო არ იქნება კაცმა ცოლი შეირთოს.

— როგორის ქალზე დაიწერ ჯვარს, ცოლის შერთვა რომ მოგინდეს?

— მე სულ ერთია, როგორიც უნდა იყოს, სთქვა კიტსმა: ერთი მეორეზე ხომ არც ცუდია, არც კარგი.

— რადგანაც შენ მე სიკვდილს გადამარჩინე, ჩემი ქალი შენ უნდა მოგათხოვო, უთხრა რაინდმა.

— ბატონი ხარ, მიუგო კიტსმა.

რაინდი წავიდა ქალთან მოსალაპარაკებლად და გადასწყვიტეს მეორე დღეს ჯვარის წერა.

მეორე დღეს გამოიყვანეს დედოფალი მშვენივრად ჩაცმული, კიტსი სრულის კმაყოფილებით ამოუდგა გვერდს საპატარძლოს და, როდესაც ჯვარის დასაწერად გასწიეს, მშვენიერმა დედოფალმა წასჩურჩულა კიტსს—ხომ არ გასჯავრდები, შენ მაგივრად სხვაზე რომ დავიწერო ჯვარი?

— სრულიადაც არაო, უთხრა კიტსმა, ეგ მე რა მენაღვლება.

— მე ეს იმისთვისა გკითხეთ, განაგრძო საპატარძლომ, რომ ჩემი ბიძაშვილი გუსტავი მიყვარს და იმასაც ვუყვარვარ. რახან თქვენთვის სულ ერთი ყოფილა, ემანდერა ჩემი საქმრო უკან მოგვდევს და სჯობს, რომ მაგაზე დავიწერო ჯვარი.

— როგორც გნებავდეს, —სთქვა კიტსმა.

— ამას რას ვხედავ,—წამოიძახა რაინდმა, როდესაც თავისი ქალი და გუსტავი ეპისკოპოზის წინ მდგომნი დაინახა. გვიანღა იყო, და ამისთვისაც რაინდმა ქორწილის დროს კიტსსა ჰკითხა: ჩემი ქალის შერთვის მაგივრად ერთ ტომარა ფულს არ ინებებთ?

— რატომ არა,— სთქვა კიტსმა: ფული რომ მექნება, უფრო ცოტა წვალება მომელის, მინამ უფულობის დროს. გვიბოძეთ.

მალე გუსტავი თავისი მეუღლით წავიდა სასახლეში და იქ ყველას უამბო თავისი ჯვარის-წერის ამბავი და კიდევ სხვა ბევრი რამ უზრუნველ კიტსზე, ასე რომ ესეც მიიპატიჟეს სასახლეში.

ამ დროს მეფეს მეჯლისი ჰქონდა და კიტსმა მაშინ შეჰყო სასახლეში თავი, როდესაც ცეკვა იწყობოდა,

— ვისთანაც უნდა ვითამაშო, ჩემთვის სულ ერთია,—ფიქრობდა კიტსი,

*) იხილე «დროება» № 208.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზი, რომ ჩინეთი თანხმდება მედიატორთა გარდაწყვეტილებას, თუ ეს ამბავიც იქიდამ მოფრენილი საგაზეთო „ჩინური იხვი“ არ არის.

## შინაური ქრონიკა

═ ჩვენა გვწერენ სამურზაყანოდამ: სწორედ, რომ საცოდავ მდგომარეობაში ვართ ამ დროებით სამურზაყანოს მასწავლებლები. მკითხველებს, რასაკვირველია ეცოდინებათ რომ სამურზაყანოს სკოლებს ინახავდა აქამომდე ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება, მაგრამ ამას წინად არ ვიცი ვისი მინდობილობით, უფროსი ბლაღოჩინი სამურზაყანოს და აფხაზეთის ეკლესიებისა აცხადებდა სოფლებში, რომ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება ამას იქით აღარ შეინახავს სკოლებსო; ჩვენთვის კი — მასწავლებლებისთვის სკოლების დაკეტის შესახებ არავითარი განკარგულება არ მოუწერიათ, რაისაგამო ჩვენ ყველანი ჩვენს ადგილებზედ ვართ. მაგრამ ამისთანა ყოფნას არ ყოფნა სჯობიან: წარმოიდგინეთ საწყალი სოფლის მასწავლებლის მდგომარეობა: ის იღებს არა უმეტეს ოც-და-ათი თუმნისას წელიწადში და ისიც ვინ იცის, როდის ეღირსება. ბავა ოთხი თვე (ოთხ-თვეში ერთხელ ვიღებთ) ელი დღე-დღეზედ შენს მცირედ ჯამაგირს, როგორც ზეციურ მანანას, მაგრამ სად არის?! უნდა გარდააცილონ ან სამი ან ოთხი თვე და მაშინ შეიძლება ეღირსო შენს ნაშრომს-ნაწვალებს, ამ დრომდე კი უნდა ეხვეწო ვინმე მადლიან კაცს, ან ვინმე მიკიტანს, რომ მშიერი არ მოგკლას. ხმა იყო ვითომც სამურზაყანოს სკოლებს სამასწავლებლო ოლქის მზრუნველი მიიღებს თავის უწყებაშიო, მაგრამ მგონია ტყუილი გამოდგა. ახლა ამბობენ, რომ სასულიერო მთავრობას გადაეცემა ეს სკოლებიო, მაგრამ ჩვენ ჯერ-ჯერობით ამაზე არაფერი ცნობა მოგვსვლია.

═ იბეჭდება და მომავალ კვირაში გამოვა „ისტორია ქართველთ ქვეითი დრუჟინისა“ ქართულს ენაზე. წიგნი ძალიან დიდია და შეიცავს 400-ზე მეტს გვერდს ტექსტად და 100-ზე მეტს გვერდს დამატებად.

ეს წიგნი, როგორც ვიცით, შედგენილია პოლკონსკისაგან და დღეს ქართულად იბეჭდება «დრუჟინის» ფულით. ჩვენ ამ წიგნის თაობაზე ვრცელს წერილს დავბეჭდავთ ჩვენს გაზეთში.

═ სიღნაღიდამ გვწერენ: «ამ თვის 16 ს აქ ოფიციალურად გახსნა საქალებო პირველ-დაწყებითი სკოლა ქ. რობიტოვისამ. სწავლის ფასი არის გამოცხადებული თვეში ოთხი მანათი. ვისაც საშუალო სასწავლებლებისთვის უნდა მომზადება, მათ მეტი გამოერთმევათ. მოწაფენი პანსიონშიაც მიიღებიან შესაფერ ფასად. არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ ახალ-გაზდა მასწავლებელს, რომ თავისი შრომა ერთობ ძვირად დაუფასებია. ჩვენის აზრით, მას რომ ორი მანათი დაენიშნა სწავლის ფასი, მაშინ მოწაფეთ რიცხვიც დიდი იქნებოდა და შემოსავალიც მეტი. იმედია, რომ გამოცდილება ამ დასკვნამდის მიიყვანს ამ ჩვენს ახალ დაწესებულებას.

═ დღეს, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინადადებისამებრ, კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ექნება სჯა ჩაის გაშენების თაობაზე შავის ზღვის პირა ადგილებში.

═ გაზ. «კავკაზის»სიტყვით, სექტემბრის 24 აქვს საჭიროქსერო დასი აგრონომის ბეევსკის ხელმძღვანელობით სინჯავს ვაზებს ნავთლუხის ახლომახლო.

═ «კასპიიში» სწერია, რომ ამიერ-კავკასიის რკინის-გზის გადაზიდ-გადმოზიდვისათვის ღონის გაძრიელების საქმე უკვე დამტკიცდა სახელმწიფო რჩევისაგანაო.

═ გაზ. «კავკაზში» დაბეჭდილია შემდეგი საინტერესო გარემოება ათონის მონასტრებზე: „კარგა ხანია, რაც საბერძნეთისა და ოსმალეთის გაზეთები იმის განხილვაში არიან, თუ რა გვარად უცქერის რუსეთის მმართებლობა ათონის მთას. ათონის ბერძნულმა გაზეთმა «ათონ»-მა დაბეჭდა ამ საგანზე ვრცელი და გატაცებული მოწინავე წერილი. გაზეთი იმ აზრისაა, რომ ათონის მთაზე დაარსებული მონასტრები და უდაბნონი, რომელნიც დღეს სოფლისაგან განდეგილთა სავანედ ითვლებიან, მაინც სტრატეგიულს ადგილებს წარმოადგენენ და ახლო მომავალში სრულიად სხვა დანიშნულებას დაუწყებენ მსახურებასაო. გაზეთი ჰპოვებს, რომ ამას წინად ათონზე გამგზავრებას რუსეთის ელჩის ბ. ნელიდოვისას დიდი კავშირი აქვს რუსეთის განზრახვასთან ათონის მთის შესახებ. რუსეთის ბერების წადილსა და სურვილს ათონის მთის დაჩემებისათვის საფუძვლად აქვს აგრეთვე რუსეთის მეცადინეობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. რუსის ბერებს მხარს აძლევენ დიპლომატიური აგენტები და როცა ჯერ თავადაც არ გამაგრებულან წმინდა მთაზე, ბერძნის ბერებს ართმევენ მიწებს და აშენებენ ზედ ეკლესიებსა და სამლოცველოებს“.

ეს დიდი ხნის დავა რუსთა და ბერძენთ ბერების შორის — გაირჩევა ამ მოკლე ხანში, როგორც ვიცით, ერთს ოსმალეთის სამსჯავროთაგანში.

═ გაზ. «კასპიიში» იწერებიან: ჩვენ შევიტყეთ, რომ ბათუმის ნავთ-საყუდარის გაკეთებას ჯერ არ შესდგომიანო, თუმცა მოიჯარადრეთ ფული ნახევარ მილიონი მანეთი წინადვე მიუღიათ და პირობა ისე ჰქონიათ, რომ ფულის მიღებისათანავე მუშაობა უნდა დაეწყოთო. „ამის მიზეზი, — ამბობს ესევე გაზეთი, “— ის არისო, რომ ზღვის ნაპირას მყოფი ადგილები, სადაც მუშაობა უნდა დაიწყონ ეკუთნით სხვა-და-სხვა მემამულეთა და ჯერ ვერ შეუსყიდნიათო».

რასაკვირველია, საყურადღებოა ამ გვარი საქმე, მით უფრო, რომ მოიჯარადრეთ მცირე ფული არ მიუღიათ, მაგრამ სასურველია, საქმე მემამულეებთან უფრო მოფიქრებით და სამართლიანად გათავდეს, ვიდრე თავდებოდა აქამომდე ამ გვარი საქმეები.

═ გაზ. „რუსკი კურიერი“ გვატყობინებს, რომ კავკასიის სამადნო წყლებმა ბ. შჩევკინის შემწეობით, სახელმწიფო ხაზინას 15,000 მან. მისცეს, ზარალის მაგიერ, როგორც წინა წელიწადებში ხდებოდა ხოლმე. ამ სარგებლობის გარეშე კიდევ 20,000 მანეთის წყალის გატანას მოელიან. ასე რომ წინა წლებში დანიშნულის სუბსიდიის მაგიერ (30,000), რომელიც სახელმწიფო ხაზინიდგან ეძლეოდათ სხვა-და-სხვა მოიჯარადრეებს, ეხლა სარგებელს 35,000 მანათამდის ყოველს წელს დაიბრუნებენო.

═ ერთს რუსულს გაზეთში იწერებიან, რომ ამ ჟამად ამერიკაში წასულან ორი პეტროვის აკადემიაში კურს შესრულებული ყმაწვილი კაცი, რომელთაც ადგილობრივ უნდა შეისწავლონ ბამბის მოყვანა და მოვლა, რათა შემდეგში ეს საქმე ჩვენს კავკასიაში დაიწყონ. ეს ყმაწვილი კაცები გაუგზავნია მოსკოველს მდიდარს ვაჭარს ბ. მოროზოვს, რომელსაც მიწები უკვე შეუსყიდია კავკასიაში (?) და აპირებს ბამბის პლანტაციების გამართვასაო.

---

მივიდა მეფის ქალთან და სატანცაოდ გამოიწვია.

— თქვენ ვინა ხართ? — ჰკითხა მან.

— მე — პიტსი გახლავარ, — მიუგო პიტსმა.

— ძალიან მოხარული ვარ, ბუსტავისაგან და მისი მეუღლისაგან ბევრი რამ სასიამოვნო გამიგონია თქვენზედ. რა გვარ ცეკვას ინებებთ?

— რა გვარიც თქვენა გსურთ, — ჩემთვის სულ ერთია, რადგანაც არც ერთი გვარი ცეკვა მე არ მისწავლია.

— მაშ სჯობია ფორთოხალის ქალებში გავისეირნოთ, — უთხრა პრინცესამ.

— როგორც გნებავდეთ, — უპასუხა პიტსმა, ჩასჭიდა ხელი და გზა-და-გზა უამბო თავისი თავ-გადასავალი.

სავახშმო ზარის დარეკის დროს უმშვენიერესმა პრინცმა თავისი სატრფო პრინცესა პურის საჭმელ ოთახში წაიყვანა. პიტსიც შევიდა ოთახში და მიუჯდა პაშტეტს.

— დღეს მე კარგს მადაზე ვარ, თქვა პიტსმა.

ნახევარი პაშტეტი შეჭმული ჰქონდა პიტსს, როდესაც მეფემ იმისკენ მიიხედა.

— შენ პირველ ადგილზე დაბძანების ნება ვინ მოგცა? შეუტია მეფემ.

— ჩემთვის სულ ერთია, სადაც უნდა ვიჯდე, მიუგო პიტსმა.

— როგორ თუ სულ ერთია, წამოიძახა მეფემ და ბძანა: გაიყვანეთ ეს გაუზრდელი სახლიდგან, რომ შემდეგ აღარ გაბედოს აქ შემოსვლა.

— დამაცადეთ, თქვენო დიდებულებავ! მე თვითონ გავალ აქედგანა და საითაც წავალ, ეგ ჩემთვის სულ ერთია.

პიტსმა დასტოვა ქალაქი, წამოიღო ერთი ტომარა ფული, ტყეში იყიდა კარგი სახლი, მოიყვანა კომბოსტო და ყვავილები და დაიწყო თავისთვის ცხოვრება.

აქ პიტსმა მალე შეიტყო, რომ ხალხი ისევ აღელვებულიყო, მეფისთვის თავი გაეგდებინებინათ და მშვენიერი პრინცესის მოკვლაც მოენდომებინათ. პიტსს მოაგონდა ფორთოხლის ქალა, იქ სეირნობა, მოსძებნა რაინდი და ორივე ერთად მეფის ლაშქრის ბანაკისკენ წავიდნენ.

— ჰხედავ ამ მაღალ კოშკსა? უთხრა რაინდმა. აი იქ, სულ მაღლა, სადაც პაწაწინა სანათურები მოჩანან, პრინცესაა დამწყვდეული და მისი იქიდგან განთავისუფლება შესაძლოა, თუ პირველად ქალაქს ავიღებთ.

პიტსმა ერთი ტომარა ლურსმანი და ერთი ჩაქუჩი წაიღო, გაიყოლა თან თოკიც, მივიდა კოშკთან, შეურჭო ჯერ ერთი ლურსმანი, შესდგა ამაზე, მერე მეორე, მესამე, მეათე და სულ თავამდის გააკეთა საფეხურები. მივიდა ფანჯარასთან, გადაჰხედა პრინცესას და უთხრა: ჩქარა თავს უშველეთ. პრინცესამ ჩაიცვა ტანისამოსი და გამოჰყვა პიტსსა.

— აქ როგორ ამოხვედი, შეეკითხა პრინცესა.

— ჩემთვის სულ ერთია, აქ ამოვიდე, თუ სწორეზე გავიარო.

მშვენიერმა პრინცესამ გადმოაბიჯა ფანჯარას, დაეზიდა თოკს და პიტსის დახმარებით ნელ-ნელა დაეშვა ძირს.

— ეხლა რაღა ვქნა? ჰკითხა პრინცესამ.

— თქვენს ჯარს მიჰხედეთ, მიუგო პიტსმა.

— ვიცი კიდევ ომი დაიწყება და ისევ ისა სჯობიან დავიმალო. თქვენ არსად გეგულებათ დასამალი ადგილი? ჰკითხა პრინცესამ.

პიტსმა თავის სადგურში წაიყვანა. აქ პრინცესამ აკოცა პიტსს და უთხრა:

— მე შენ ძალიან მიყვარხარ, უფრო მეტად მიყვარხარ, ვიდრე პრინცები და კარის-კაცები; ამისთვის რომ შენ კეთილი და მამაცი კაცი ყოფილხარ. გინდა მე შენი ცოლი გავხდე? აქ ჩვენ ტკბილად ვიცხოვრებთ.

— რატომ არა, შეიძლება, უთხრა პიტსმა: — მეც ისე ძალიან მიყვარხარ, ისე, რომ ქვეყანაზე შენისთანა არავინა მყვარებია.

ამ დროს ერთმა ფეთიანმა და შლე-

## ქართული თეატრი

სექტემბრის 26

თამარ-ბატონიშვილი, დრამა ხუთ მოქმედებად, გადმოკ. კ. მესხისაგან.

ქართული სათეატრო სეზონი დაიწყო ისტორიული დრამით, რომლის სახელიც ზემოდ ამოვსწერეთ. ნაყოფიერმა და უხვმა სექტემბერმა, პურისა და ღვინის მოსავალთან ერთად, შემოგვძლევნა ქართული წარმოდგენებიც. იყო დრო, როცა ტკბილს შემოდგომას ეს აუცილებლად საჭირო საზამთრო სანუკარი არ მოჰქონდა ქართველობისათვის. ეხლა, მადლობა ღმერთს! ამ მხრივ ბედს ვერ დავემდურებით. იქნება ამ სანუკარმა ჩვენი ესტეტიურის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ვერც კი შეიძლოს, ისე როგორც სასურველია, მაგრამ რა ვქნათ: „მცირესა ზედაც კმაყოფილნი უნდა ვიყვნეთ“...

ორიოდე სიტყვა თვით დრამაზე.

თამარ-ბატონიშვილი, მოთხრობად იქმნა დაწერილი და დაბეჭდილი «ცისკარში» მე-50 წელთ შორის გრ. რჩეულაშვილის-მიერ. თვით მოთხრობა დიდის ინტერესით იკითხება, თუმცა კი დარწმუნებით ამბობენ, რომ ამ მოთხრობის სიუჟეტი ნასესხებია და მერე გადმოუქართულებიათო.

ამ მოთხრობის გადაკეთება დრამად ფიქრში მოსვლია ბ-ნ ძ. მესხს, რომელიც ამას წინად ტფილისის სცენაზედ იყო და ერთ საუკეთესო მოთამაშედ ითვლებოდა. სამწუხაროდ, როგორც მოთხრობა რჩეულაშვილისა, ისე დრამა, რომელიც ამ მოთხრობიდამ არის გადმოკეთებული, ბევრს ნაკლულევანებას წარმოადგენს. დრამა დაფუძნებულია თამარისა და ახალ-გაზდა შალვას სიყვარულზედ, რომელსაც წინ დაბრკოლება ეღობება და ამ დაბრკოლების წინაალმდეგ ბრძოლისათვის უძლურნი შეყვარებულნი თავებს იხოცავენ სცენაზედ: ერთი თოფით, რომელიც მე-XIII საუკუნეში არ არსებობდა და მეორე ხანჯლით, რომლითაც ძველის საქართველოს გმირნი უფრო მამულის მტერსა ჰხოცავდენ, ვიდრე თავიანთ თავს. უნდა შევნიშნოთ, რომ დრამის ნასკვი, მხოლოდ გარეგან დაბრკოლებაზეა აშენებული. რუსუდანსა და ლაშას არა ჰსურთ მიათხოვონ თამარი შალვას და მას ამზადებენ ყიასდინ სულთანისათვის მისათხოვებლად, ვითომ პოლიტიკურის განძრახვით, და აი ეს გარეგანი დაბრკოლება დასდებია საფუძვლად დრამას. ამის გამო, რასაკვირველია, დრამის ნასახიც არ გამოდის. დრამისათვის საჭიროა ბრძოლა ორ საწინაალმდეგო გრძნობათა, საჭიროა ტანჯვა და კვეთება ადამიანის სულისა, გამოწვეული მასში ორის გრძნობის მიერ, რომელთაგანაც ორივ მოიპოვება ადამიანის ბუნებაში, ორივ ლოგიკურის სიმედგრით ითხოვენ დაკმაყოფილებას, სისტემატიურად დალაგებულის გარემოებათა ძალით, ორივ ერთმანერთს ებრძვიან ერთსა და იმავე ადამიანში, ერთისა და იგივე სამართლიანობით, კანონიერობით. ამ თეორიულს მოსაზრებას მრავალის მაგალითებით განვმარტავდით, მაგრამ ეს ისე ცხადია ყველასათვის, ვისაც კი ცოტაოდნად თვალ-ყური უდევნებია არა თუ დრამატიულ შემოქმედობისათვის, არამედ ესრედ წოდებულ სამხატვრო და ხელოვნურის ლიტერატურისათვის, რომ საჭიროდ არა ვთვლით აქ სიტყვა გავაგრძელოთ. მით უმეტეს, რომ შეიძლება ამ საგანზედ ბაასისათვის უფრო უკეთესი შემთხვევა მოგვეცეს, ვიდრე თამარ-ბატონიშვილია. მართლაც, ასე ნაძალადევად გადრამება სრულიად არა სადრამო მასალისა იშვიათად გვინახავს ჩვენს დრამატიულ ლიტერატურაში. ჩვენი დრამატიული ლიტერატურა სავსეა ისეთი პიესებით და დრამებით, რომელთ დაწყობა და დალაგება, მასალა და შინაარსი არაფერს სადრამოს არ წარმოადგენენ და ამ გვარ ლიტერატურაშიც კი თამარ-ბატონიშვილი ერთი უვარგისთაგანი დრამა არის.

ჩვენს დასს, ეტყობა, კარგი სურვილი ჰქონია, როცა სეზონის დასაწყობად ამოურჩევია ისტორიული პიესა. ისტორიულს პიესებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენის თეატრისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, რიგიანი პიესები ცოტა მოგვეძებნება არა თუ ისტორიულის ცხოვრებიდამ, არამედ თანამედროვე ცხოვრებიდამაც.

ტყუილად არ არის ნათქვამი, რომ დრამა გვირგვინია—დრამატიულის ხელოვნებისაო. მაშინ, როცა ჩვენი შემოქმედებითი ლიტერატურა ბრწყინავს ისეთის სახელებით, როგორც ილია ჭავჭავაძისა, აკაკის და სხვათა სახელებია, დრამატიულს ლიტერატურას ერთი ნიჭიერი წარმომადგენელი არა ჰყავს. ეს ცხადი ასახსნელია: არც ერთ გვარი ლიტერატურული ქმნილება არ მოითხოვს უფრო მეტს ნიჭს, მეტს ძალას სულისასა და გონებისას, მეტს ცოდნას ადამიანის ვნებათ ღელვისასა და ხასიათებისას, როგორც დრამა.

დრამა უძნელესი და ურთულესი გვარია ლიტერატურულ ნამოქმედარ გვართა შორის.

გუშინ-წინდელი თეატრი მაინც სანუგეშოს ბევრს რასმე წარმოადგენს. თუმცა რამდენიმე ნიჭიერი წარმოდგენელი ჩვენის დასისა აკლდა წარმომადგენას, მაგრამ მაინც კარგად და მართებულად ითამაშეს. ქ. ყიფიანის დანახვამ სიამოვნებით აავსო სათეატრო დარბაზი. იმისმა თამაშობამ, რომელიც, ჩვეულებრივად, იყო ჭკვიანური, მართებული, გრძნობით და ხერხით სავსე, არა ერთს და ორს ტკბილად აუღელვა გული და გამსჭვალა კეთილშობილურის ვნებით, მაგრამ ამაზე კიდევ სასიამოვნო ის იყო, რომ შალვას როლს თამაშობდა და თამაშობდა არა ურიგოდ, თუმცა უფრო ევროპიულად, თითქმის სრულიად გამოუცდელი, ვარჯიშსა და წვრთნას მოკლებული ახალგაზდა. ეტყობა, გული ძრიელ უძგერს არტისტიული მოღვაწეობისათვის. მიგვილოცნია! ვისურვებთ, რომ ამ ახალ გაზდამ თვალ-საჩინოდ დაამტკიცოს ერთი დიდი საზოგადოებრივი და სოციალური ჭეშმარიტება: როცა საქმეა—მოსაქმეც გამოჩნდება, როცა ერთი მოღვაწე ან მოილალება, ან სხვა რამ მიზეზით მოშორდება თავის საქმეს, მეორე გამოვა საასპარეზოდ, როცა ერთი სცლის სცენას, მეორე იჭერს მის ადგილს.

თუ გუშინდელი საქმე—დავაბოლოებთ იმითივე, რითიც დავიწყეთ—ხვალ გაგრძელდება, რაც დღეს მოჰირნახულებულია და თუ სისტემატიურად, გულ-დამჯარებით ვიშრომებთ,—ქართული თეატრიც მკვიდრად დადგება ფეხზე...

რიგით და მართებულობით წარმოდგენილი პირველი სპექტაკლი ამისი თავდებია. რა იქნება შემდეგ—ამას, როცა სეზონი გაცხარდება, მაშინ დავინახავთ.

ერთი სიტყვა კიდევ და დასრულდება ჩვენი მატიანე: ისეთი ლეკური, როგორც იმ საღამოს ჩვენა ვნახეთ, იშვიათად შეგვხვედრია. ერთი ახალგაზდა,—როგორც სთქვეს, მეგრელი დიდის ხელოვნებით და ნარნარით ასრულებდა ამ ჩვენს საყვარელს ცეკვას. რომ იტყვიან არტისტია თავის საქმისაო—სწორედ ის ახალგაზდა იყო.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

სექტემბრის 26-ს

ქაირი. ნორსბრუკმა წინადადება მისცა სრულებით გააუქმონ ეგვი-

---

გიანმა ხუცესმა გამოიარა, გადასწერა ამათ ჯვარი და ეხლა ესენი ცხოვრობენ ბედნიერად, როგორც წყვილი ჩიტი თავის ბუდეში. ცოტახანს უკან, ლორდ-მერებმა, რომელნიც მეფის მაგივრად განაგებდენ ქალაქს, შეიტყეს, რომ პიტსს მეფის ქალზე ჯვარი დაუწერია; განრისხდენ და პიტსის წინაალმდეგ 50.000 დაიარაღებული კაცი გაგზავნეს. დაიჭირეს ორივენი; პრინცესა საპყრობილეში გაგზავნეს, პიტსს კი სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

— რაც გინდათ, ისა ჰქენით, სთქვა პიტსმა, როდესაც განაჩენი მოისმინა:—ერთს ქვეყნიდგან გამდევნით, მეორე ქვეყანაში წავალ.

— ამოირჩიე, რა გვარი სიკვდილით გირჩევნია დაისაჯო? ჰკითხეს განრისხებულმა ლორდ-მერებმა:—დაგახრჩოთ, დაგხვრიტოთ, თუ საწამლავი მოგცეთ?

— მე რომ სულ ერთია ჩემთვის,—უთხრა პიტსმა, მაგრამ მაინც-და-მაინც საწამლავი კი მირჩევნია.

ამ ამბავმა მთელი ქალაქი აალაპარაკა:—ბევრს რასმე ამბობდენ პიტსზე და სხვათა შორის იმასაც, რომ პიტსს სუყველა ეს ცოდოებისაგან მოუვიდაო. პიტსი სუყველას ეცოდებოდა და—ასე გასინჯეთ—იმ სალდათებსაც კი, რომელთაც საწამლავი უნდა მიეცათ.

— შენ მაინც, უზრუნველო პიტსო, სიკვდილი არ გეჩქარება და მოდი, ჯერ ერთად ვახშამს შევექცეთ,—უთხრეს სალდათებმა.

— დიდის კმაყოფილებით,—გამოელაპარაკა პიტსი: მე ვახშამზე უარს არ ვიტყვი.

ბოლოს თვითო სტაქანი ღვინოლა დარჩათ ამათ კაცის თავზე დასალევად და პიტსისთვის ერთი სტაქანი შხამი. როდესაც ყველანი ადგნენ კიდეც და უკანასკნელად პიტსის სადღეგრძელოს სვამდენ, საპყრობილეში შემოვიდა ერთი მეტად მრისხანე ლორდ-მერი პიტსის ამბის გასაგებად.

— ეს რა ამბავი გაქვთ? შეჰყვირა იმან. სალდათნო! თქვენ აქა ჰქეიფობთ?!.

ამათ სტაქნების დაცლა კიდეც მოასწრეს, ისე რომ ერთი სტაქანი შხამი-ღა დარჩა დასალევი.

— იმდენი ღვინო დავლიე,—სთქვა პიტსმა, რომ მეტი აღარ მინდა სწორედ.

— მე ხომ მინდა, თუ შენ არ გინდა, შეჰყვირა ლორდ-მერმა, დაუსვენებლივ დაცალა შხამით სავსე სტაქანი; ლორდ-მერი იქვე დაეცა მკვდარი.

— ჩემთვის ხომ სულ ერთი იყო, სთქვა პიტსმა, მაგრამ ასე კი სჯობდა. რადგანაც შხამი აღარ იყო, სალდათებმა ჩაამწყვდიეს პიტსი ისევ საპყრობილეში. მეორე დღეს, როდესაც სამსჯავროში უამბეს ეს ამბავი, ხალხმა გაიხარხარა, დაჰკრა ტაში და შეჰყვირა: «მეფე პიტსს გაუმარჯოსო»!

მაშინ წამოდგა ერთი ლორდ-მერთაგანი და სთქვა:

— ნამდვილად და სწორედ რომ პიტსს ეკუთვნის ჩვენი ხემწიფობა, ეს სხვა მეფეებისათვის არ იქნება...

— ურა! დაიძახა ხალხმა.

— და რადგანაც პრინცესაზედაც ჯვარ-დაწერილია, ტახტზე ასვლის უფლება ამასავით სხვას ვილას ექნება, სთქვა მეორე ლორდმა.

— საქმე ის არის ეხლა—გვაპატიებს ჩვენს შეცოდებას, თუ დაგვსჯის? სთქვა მესამე ლორდმა.

— როგორც გინდოდეთ,—უთხრა პიტსმა.

ხალხმა დაიძახა: «ურა! მრავალჟამიერ მეფე პიტსაო»!

პრინცესა გამოიყვანეს საპყრობილიდგან, პიტსი დალოცეს მეფედ და ბევრხანს ცხოვრობდენ ესენი მშვიდობით და ბედნიერად.

— მეფედ ყოფნას არა უშავს-რა! ამბობდა ხოლმე პიტსი: მაგრამ ჩემთვის კი სულ ერთია: ყველგან შემიძლიან ბედნიერი ვიყოო.

ა. წ—მე.

პტის არმია და იმის მაგიერ პოლიციის დარაჯი შეადგინონ 9000 კაცისაგან, მაგრამ ევროპის მმართებლობა ეწინააღმდეგება ამ წინადადებას.

**ლიონი.** წარსულს ღამეს ჟანდარმების ყაზარმაში შეაგდეს ყუმბარა, მისმა აფეთქებამ ყაზარმის კედელი დაანგრია და ფანჯრები ჩაამტვრია.

სექტემბრის 25-ს.

**სევასტოპოლი.** გუშინ, დიდი მთავრის ალექსი ალექსანდრეს-ძის თანადასწრებით, დაიწყეს კეთება ჯავშნიანი გემებისა: «ჩესმისა» და «სინოპისა»; ამის შემდეგ გამართეს საუზმე, რომელზედაც მიპატიჟებული იყო 250 სული, მათ რიცხვში რვა სინოპის ბრძოლის დამსწრენი.

**ქაირი.** ხმებია, რომ პოლკოვნიკ სტიუარტთან ერთად მოკლულან დანბოლში საფრანგეთის ხართუმელი ელჩი გერბენიც.

სექტემბრის 27-ს.

**ოდესა.** პოლიტიკურ დამნაშავეს დეიჩს სამხედრო და სამოქალაქო სასამართლომ გადაუწყვიტა ციმბირში გაგზავნა საკატორღო სამუშაოზედ მაღაროებში 13 წლის და 4 თვის ვადით, რადგან მას ჰქონდა განზრახვა მოეკლა აზნაური გორინოვიჩი გოგირდის სიმჟავის თავზედ-გადასხმით.

**ჰანოი.** საფრანგეთის ლაშქარმა, ექვსი საათის ბრძოლის შემდეგ, დაამარცხა ჩინელები ლოკნანის ველთან. ამ ბრძოლაში ფრანცუზებს მოუკლეს 4 და დაჭრეს 20. ფრანცუზები ჩინეთის სამზღვრისკენ განაგრძობენ სიარულს.

## ცნობანი

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 2½ |
| მეორისა | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | 4½ |
| მეორისა | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა | —1 | გ. | 2½ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4½ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 3½ |
| მესამისა | —1 | გ. | 3 კ. |

| | | | |
|---|---|---|---|
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 7 კ. |
| მეორისა | —1 | გ. | 6 კ. |
| სუკი | —1 | გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 7 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | — კ. |
| მეორისა | —1 | გ. | — კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (ხუთშაბათობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

## განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება თბილისის უმთავრეს წიგნის მაღაზიებში მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური

ლექსიკონი

მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა

სამეცნიეროდგან, შედგენილი თავ. რაფ. ერისთავისაგან. — ფასი ადგილობრივ ორი მანეთი. (10—1)

სომხეთ ნერსესიან სასულიერო სემინარიის სამზრუნველო საბჭოში ოქტომბრის 10, საღამოს 8 საათზე იქნება ვაჭრობა (განუმეორებლად) ოც-და-ერთის დუქნის იჯარით მისაცემლად. ამ დუქნებს გვერდზე ხის სარაიები აქვთ სამჭედლოებისათვის და იმყოფებიან ნერსესიან სემინარიის ძველის სახლის პირ-და-პირ. პირობათა შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველდღე კვირა-უქმის გარდა დილის 10—12 საათამდე. (3—2)

საქალაქო გამგეობა

მოიწვევს ვისაც ჰსურს იჯარით აიღოს 1) ნატალია შიოევისეული სახლი, რომელიც შეადგენს კუთხეს ბოლოვინის პროსპექტისას და ელდიოვის ქუჩისას და 2) ქარვასლა დიდ ქუჩაზედ. პირობათა გაცნობა შეიძლება ყოველ დღე საქალაქო გამგეობაში დილის 10—2 საათამდე. თხოვნები ამ საქმის შესახებ მიიღება ოქტომბრის 5-მდე. (3—1)

დაიბეჭდა და იყიდება, თბილისის, ქუთაისის, გორის და თელავის წიგნის მაღაზიებში

# საქართველოს

## მოკლე ისტორია

მოსე ჯანაშვილისა.

ფასი 60 კაპ.

ვინც პირ-და-პირ გამომცემლისგან (Тифлисъ Михайлов. ул. № 42 Георгію Давидовичу Картвелову) დაიბარებს არა ნაკლებ 20 ეგზ., იმას წიგნი დაეთმობა 50 კაპეიკად. (10—6)

ბიბლიოგრაფიული განცხადება

**დედანი** ქართული წერისა, სურათებით, შედგენილი იაკობ გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა და იყიდება გამომცემლის ზაქარია ჭრიჭინოვის მაღაზიაში. ფასი ექვსი შაური; ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოცი ცალისა, დედანი დაეთმობა ხუთ შაურად. აგრეთვე იყიდება იქვე და სარქისოვის მაღაზიაში ლიტოგრაფიაში დაბეჭდილი **დახაზული ქაღალდი**, თაბახი კაპეიკ-ნახევარად. რვეულები მზადდება და ელირება: ორ-თაბახიანი ოთხ კაპეიკად და ოთხ-თაბახიანი რვად.

**კონა** საყმაწვილო მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, მეორე შევსებული გამოცემა, სურათებით, იყიდება იქვე, ფასი ათი შაური, ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოცი ცალისა, წიგნი დაეთმობა 42 კაპეიკად. (10—6)

PAPIER RIGOLLOT
БУМАГА РИГОЛЛО
ГОРЧИЦА НА ЛИСТАХЪ ДЛЯ СИНАПИЗМОВЪ
ПРИНЯТАЯ ВЪ ПАРИЖСКИХЪ ГОСПИТАЛЯХЪ
ВЪ ВОЕННЫХЪ БОЛЬНИЦАХЪ, ВЪ МОРСКОМЪ ФРАНЦУЗСКОМЪ И АНГЛІЙСКОМЪ КОРОЛЕВСКОМЪ МОРСКОМЪ ВЕДОМСТВАХЪ
Единственное средство, ввозъ котораго дозволенъ въ Имперію медицинскимъ совѣтомъ.
Принимайте за НАСТОЯЩУЮ БУМАГУ РИГОЛЛО лишь ту, листы которой имѣютъ поперегъ сію подпись **красною** краской.
*Продается во всѣхъ аптекахъ.*
ГЛАВНОЕ ДЕПО
24, Avenue Victoria
PARIS
Въ Парижѣ.
(32—25)

შენახვა ჩრჩილისა და ბუზანკალისაგან.

**ნაფტალინი** (ქაფური) **ჩრჩილის გამჭყობი** წყალი, სპარსული და დალმატიური პარაშოკი, გუტპერჩის ტომრები ბეწვეულობის და შალის ტანისამოსის შესანახავად. პომადა მეტალთა დასაფერავად, საუკეთესო ფრანცუზული ვაქსა, გლიანც-სახამებელი, ლილა და სხვანი საოჯახო ნივთეულობანი იყიდებიან თბილისში, საათფთიაქო საქონლების სავაჭრო კავკასიის ამხანაგობაში. (70—62)

ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი მაკ-მასტერი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—69)

აქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.